ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1035423

ნომერი: AR1150587

თარიღი : 30.07.2013

გაცემის თარიღი : 23.12.2013

გაცნობის თარიღი : 13.01.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 69 , (ნაკვ. 4/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იმედა კურტანიძე პ/ნ 25001006428
- ლაგოდეხი ს. ვარდისუბანი

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იმედა კურტანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 25001006428

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვაკო ვარამაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონში (47-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოვიდა თქვენი N AR11505871 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N69–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვის გაცემას. საპროექტო ობიექტს "ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
აღნიშნულის გათვალისწინებით, თქვენი N AR11505871 განცხადების განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება სცდება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილების საზღვრებს.

საკითხის განსახილველად უნდა მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მდებარე, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.#4.